პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

28 აგვისტო ხუთშაბათი 1969 ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 199 (14499)

ᲓᲐᲖᲝᲒᲘᲚᲘ ᲬᲣᲗᲔᲑᲘᲗ — ᲢᲝᲜᲝᲒᲘᲗ ᲖᲔᲒᲔᲒᲛᲘᲗᲘ ᲜᲐᲠᲗᲘ

ᲛᲡᲐᲠᲡ ᲣᲭᲔᲠᲔᲜ ᲔᲚᲔᲜᲔ ᲙᲝᲬᲘᲬᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲠᲗᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

მაუდ-კამეოლის „კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ფეიერვერები გავეცანით რუსთავის ხელოვნური ბოჭკოს ქარხნის მძახავის, კომუნისტური შრომის დამკვრელის **ელენე კოწიწაშვილის** თაოსნობას. ავწონ-დაწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი და გადავწყვიტეთ გამოვეხმაუროთ რუსთაველ კოლეგას, რომლის მეშაობის გამოცდილება დიდი ყურადღების და თავრთოდ გავრცელების ღირსია.

ელენე კოწიწაშვილის ინიციატივა მით უფრო მისასალმებელია, რომ იგი ვ. ი. ლენინის დაბადების **100 წლისთავს ეძღვნება** და ამ ეტაპზე ყოველი წუთის რაციონალურად გამოყენება **კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ბელადის სიიუბილეოდ ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით განადდების საქმეს.**

პირადად მე წლების მანძილზე ქსელის ნართის გადამხვევე მანქანას ვემსახურები და კარგად ვიცი ყოველი წუთის ფასი. ეცდილობ მრომიც ძალიან ნაყოფიერებას ძირითადი ოპერაციების ოსტატური დაუფლებით მივაღწიო. გარდა ამისა, აუცილებლად ვფიქრობ რამდენიმე ოპერაციების შესწავლასაც. ასეთი ოპერაციებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია წყვეტიანობის ლიკვიდაცია, ბობინების გამოცვლა და მასრხვეულების გამართვა. პირველ ოპერაციაზე — წყვეტიანობის ლიკვიდაციაზე ნორმით 7,5 წამია გათვალისწინებული, მე კი ამ ოპერაციის შესრულების დროს 3,5 წამს ვიკებ. ასევე დროს საგრძნობ ეკონომიას ვაღწევ დანარჩენი ოპერაციების შესრულების დროსაც. თუ გავითვალისწინებთ, რომ მარტო ერთი ბობინის დახვევაზე წყვეტიანობა დაახლოებით ექვსჯერ ხდება და ცალში ეს ციფრი 140-ს აღწევს, გამოვა, რომ ამ ოპერაციაზე 490 წამს, ანუ 8 წუთს ვიკებ. **საერთოდ კი ყველა ოპერაციებზე ცვლაში 20 წუთის ეკონომიას ვწევ. მარტო ამ გზით განვლილ შვიდ თვეში 47 საათი დავზოგე და დროის ამ მონაკვეთში 1075 კილოგრამი ზეგეგმითი ნართი გამოვუშვი. ყოველივე ამან კი საშუალება მომცა 26 აგვისტოსათვის შემესრულებინა წლიური ვალდებულება და ამჟამად 1970 წლის ანგარიშში ვმუშაობ.**

მაგრამ ამ ჩიღწევებს ზღვარად როდი ვთვლი, ვეხმაურები ელენე კოწიწაშვილის ინიციატივას და ვალდებულებას ვიკისრებ კიდევ უფრო **გავფართოო ქსელის ნართის გადამხვევე მანქანაზე მომსახურების ზონა 7-8 დოლიდან 14-16 დოლამდე, არ გამოვუშვა არც ერთი წუნდებული ბობინა, დამზმარე ოპერაციებზე დროის დანახარჯების კიდევ უფრო შემცირებით ცვლაში ახლანდელი 20 წუთის ნაცვლად მივაღწიო 30 წუთის ეკონომიას და ამ გზით ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის გამოვუშვა 2200 კილოგრამი უმაღლესი ხარისხის ზეგეგმითი ნართი.**

მ. ᲮᲝᲠᲒᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

მაუდ-კამეოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ქსელის ნართის გადამხვევი, კომუნისტური შრომის დამკვრელი.

□ □ □

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲝᲠᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲜᲘ

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკები, რომლებმაც გაარღვეს სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისთვის, წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

1969 წლის მეორე კვარტალში საქართველოს კოოპერატორებს კაპიტალური მშენებლობის საუკეთესოდ მოწყობისათვის ცენტროსოიუზის, გამგეობისა და სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით მიენიჭათ გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

მეორე კვარტალის ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა შესრულებულია 101,3 პროცენტით. საქსაპოლატაციიდან გადაცემულია 1.682 ათასი მანეთის ძირითადი ფონდები. ამოქმედებულია 58 ათასი ობიექტი.

„საქკოოპშენის“ ტრესტის მიერ გაერთიანებულმა სამშენებლო ორგანიზაციებმა მეორე კვარტალში 3 პროცენტით შეამცირეს შესრულებულ სამშენებლო სამუშაოთა თვითღირებულება. სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის შედეგებით ამ პერიოდში „ცეკავშირის“ სამშენებლო ორგანიზაციებმა მოგების გეგმა შეასრულეს 115,8 პროცენტით.

გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების გადიდების საგეგმო მაჩვენებლები, მიღწეულია ეკონომია ხელფასის ფონდის ხარჯვაში. (საქდესი).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲛᲬᲝᲕᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ

ᲤᲝᲗᲝᲜᲘ. (საკ. კორ.). ჰიდრომექანიზაციის მანქანათამშენებლო ქარხნის მუშები წარმატებით დგანან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე. აქ დაამთავრეს და შუა აზიაში მდინარე ამუ-დარიაზე ფერგანის არხის მეორე რიგის მშენებლობისათვის გაგზავნეს გიგანტი მიწისმწოვი მანქანა, რომელიც სიდიდით და წარმადობით პირველია საბჭოთა კავშირში.

ახლახან ქარხანამ გამოუშვა ეგრეთვე ახალი სისტემის უნარმაზარი ჰიდრავლიკური მიწისმწოვი მანქანა, რომელიც ამჟამად სახელმწიფო გამოცდას გადის.

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კინოს ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გულითადად მიულოცეს კინორეჟისორებს, სცენარისტებს, მსახიობებს, ოპერატორებს, მხატვრებსა და კომპოზიტორებს, კინოსტუდიებისა და კინომრეწველობის მუშებსა და მოსამსახურეებს, მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეებს, კინოკრიტიკოსებს, ფილმების წარმოების ორგანიზატორებს, კინოფიკატორებს, კინომექანიკოსებსა და კინემატოგრაფიის სხვა მუშაკებს.

მისალმებაში ნათქვამია, რომ დეკრეტმა ფოტოგრაფიული და კინემატოგრაფიული მრეწველობის სახელმწიფო გამგებლობაში გადასვლის შესახებ, რომელსაც ვ. ი. ლენინმა 1919 წლის 27 აგვისტოს მოაწერა ხელი, დასაბამი მისცა ჩვენს ქვეყანაში კინემატოგრაფიის განვითარებას ახალ პოლიტიკურ და ეკონომიურ საფუძველზე. კინო ჩადგა რევოლუციის ინტერესების, ახალი ადამიანის აღზრდის ამოცანათა გადაწყვეტის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის სამსახურში.

დიდი ოქტომბრით შობილი კინოხელოვნება თავის საუკეთესო ნაწარმოებებში ყოველთვის გამოხატავდა მთელი ხალხისათვის საერთო კომუნისტურ იდეალებს. საბჭოთა საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე კინემატოგრაფიის მუშაკები აქტიურად მონაწილეობდნენ ახალი ცხოვრების მშენებლობასა და სოციალიზმის მტრებთან ბრძოლაში, მთელ თავიანთ ძალ-ღონესა და ნიჭს ახმარდნენ ჩვენი სამშობლოს აყვავებას, მთელი მსოფლიოს მშრომელთა საქმისათვის მტკიცე, პარტიის გარშემო შეკავშირებულ მებრძოლთა აღზრდას.

პირველად ჩვენს ქვეყანაში კინო გახდა დიდი, ჭეშმარიტად სახალხო ხელოვნება. მისი თვალსაჩინო ნაწარმოებები დამსახურებულად აღიარებულია მთელ მსოფლიოში და დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოწინავე კულტურის სიმდიდრის მშრომელთა უფართოესი მასებისათვის გაცნობის საქმეში.

დაე ჩვენი კინოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს დღესასწაული, რომელიც იმართება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის წინ, აღინიშნოს ეკრანის ხელოვნების ოსტატთა შემოქმედებითი აქტივობის ახალი ამმავლობით, თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი თემებისადმი, ხალხის გმირული ისტორიისადმი, ლენინის უკვდავი იდეების განხორციელებისადმი მიძღვნილი კინონაწარმოებების შექმნით, ნათქვამია მისალმებაში.

შემოქმედებითმა კოლექტივებმა მთელი ძალ-ღონე უნდა მოახმარონ საბჭოთა კინემატოგრაფიის იდეურ-მხატვრული დონის შემდგომ ამაღლებას, ჩვენი ხელოვნებისათვის უცხო გავლენათა წინააღმდეგ, სუსტი, უშინაარსო კინოფილმების გამოშვების წინააღმდეგ ბრძოლას. ჩვენი კინოხელოვნება მოწოდებულია კვლავაც იყოს ცხოვრების საბჭოთა წესის, კომუნისტური მორალის მგზნებარე პროპაგანდისტი, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის, ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი. (საკდესი).

ᲐᲮᲠᲗᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით 2-27 აგვისტოს საბჭოთა კავშირში დასასვენებლად იყო უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. Ი. ᲙᲐᲓᲐᲠᲘ მეუღლითურთ.

დასვენების დროს ამხ. ი. კადარი იყო ლიტვაში, ლატვიაში, შეხვდა ამ რესპუბლიკების ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკებს, დათვალიერა კლაიპედის, კაუნასის, ვილნიუსისა და რიგის ღირსშესანიშნავი ადგილები.

თავისი შვებულების ნაწილი ამხ. ი. კადარმა გაატარა ყირიმში, სადაც მეგობრული შეხვედრები და საუბრები ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ამხ. Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲗᲐᲜ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ამხ. Ნ. Ვ. ᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘᲗᲐᲜ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ამხ. Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲗᲐᲜ.

საუბრების დროს განიხილეს საბჭოთა კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხები, აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის საკითხები. აღინიშნა, რომ გაფართოდა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ვარშავის ხელშეკრულებისა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ორგანიზაციებში იმ ღონისძიებათა შედეგად, რომლებიც ამ ბოლო დროს განახორციელეს ამ ორგანიზაციების მონაწილე სახელმწიფოებმა. აგრეთვე აღინიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის შედეგებს, რომელიც 1969 წლის ივნისში გაიმართა.

მხარეებმა კვლავ დაადასტურეს, რომ ყველა განხილულ საკითხზე სავსებით ერთნაირი აზრისა არიან.

საუბრები გულითადობისა და ძმური მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა.

27 აგვისტოს ამხ. Ი. ᲙᲐᲓᲐᲠᲘ სამშობლოში გაემგზავრა.

ᲒᲘᲚᲝᲒᲐ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

26 აგვისტოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა მიიღო დანიის კომპარტიის თავმჯდომარე ᲕᲜᲣᲢ ᲨᲘᲪᲠᲘᲡᲜᲘ, რომელიც სსრ კავშირში იმყოფება. მ. ა. სუსლოვმა და კ. ეს.ეპრსენმა ისაუბრეს ორივე პარტიისათვის საინტერესო საკითხებზე. საუბარი მეგობრობისა და ამხანაგური ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა.

ᲡᲡᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

27 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ მოსკოვიდან ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით სლოვაკიის ეროვნული აჯანყების 25 წლისთავის ღირსსაგულგი გამგზავრა სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის Კ. Ტ. ᲛᲐᲖᲣᲠᲝᲕᲘᲡ მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Ა. ᲐᲚᲘᲐᲕᲙᲘ, პირველი უკრაინის ფრონტის ფრონტის ყოფილი სარდალი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი საბჭოთა კავშირის მარშალი Ი. Ს. ᲙᲝᲜᲔᲕᲘ, პირველი უკრაინის ფრონტის მეორე საჰაერო არმიის ყოფილი სარდალი ავიაციის მარშალი Ს. Ა. ᲙᲠᲐᲡᲝᲕᲡᲙᲘ, სკკპ ცენტრალური სარეკვიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე Კ. Ვ. ᲠᲣᲡᲐᲙᲝᲕი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში Ს. Ვ. ᲩᲘᲠᲕᲝᲜᲔᲚᲙᲝ.

(საკდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲙᲨᲠᲘᲡᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲓᲠᲝᲨᲔᲑᲘ — ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲔᲑᲡ

ᲑᲝᲒᲓᲐᲜᲝᲕᲙᲘᲡᲐ და **ᲮᲝᲑᲘᲡ** რაიონების მეცხოველეებმა, რომლებმაც გაიჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავად, დიდი წარმატებანი მოიპოვეს მეორე კვარტალში.

ᲑᲝᲒᲓᲐᲜᲝᲕᲙᲘᲡ რაიონის ფერმების მშრომელებმა შეასრულეს სახელმწიფოსთვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმა: ხორცისა — 107,6 პროცენტით, რძისა — 101,4 პროცენტით, კვერცხისა — 190 პროცენტით, მატყლისა — 103 პროცენტით. ყველა სახეობის პირუტყვის სულადობა 1969 წლის 1 ივლისისათვის 1968 წლის 1 ივლისთან შედარებით შედგენდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 102 პროცენტს, აქედან ძროხისა — 105 პროცენტს, ცხვრისა და თხისა — 100 პროცენტს. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება ხასიათდება ასეთი მაჩვენებლებით: ხორცი — 126 პროცენტი, რძე — 103 პროცენტი, კვერცხი — 126 პროცენტი. მეცხოველეებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს ყველა სახეობის პირუტყვის სიკვდილიანობა.

მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს **ᲮᲝᲑᲘᲡ** რაიონის მეცხოველეებმაც. მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმა რაიონში შესრულდა: ხორცისა — 155,2 პროცენტით, რძისა — 107,2 პროცენტით, კვერცხისა — 330 პროცენტით. გასული წლის შუა პერიოდიდან მიმდინარე წლის 1 ივლისამდე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გაიზარდა 0,1 პროცენტით, ღორისა — 0,5 პროცენტით, ფრინველისა — ექვსჯერ. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გეგმის შესრულებამ შეადგინა: ხორცისა — 107 პროცენტი, რძისა — 114 პროცენტი და კვერცხისა — 258 პროცენტი.

მეცხოველეობის განვითარებაში ასეთი მაჩვენებლებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა პირველი ჯგუფის რაიონებს შორის მიენიჭა **ᲑᲝᲒᲓᲐᲜᲝᲕᲙᲘᲡ** რაიონს, მეორე ჯგუფის რაიონებს შორის — **ᲮᲝᲑᲘᲡ** რაიონს.

აღინიშნა **ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ, ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲡ, ᲗᲝᲗᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ, ᲑᲝᲠᲘᲡ, ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘᲡ, ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ, ᲪᲮᲐᲯᲐᲜᲘᲡ, ᲪᲐᲒᲔᲠᲘᲡ, ᲒᲔᲓᲠᲘᲡ, ᲠᲝᲠᲘᲡ, ᲗᲘᲗᲠᲝᲜᲘᲡ, ᲪᲐᲒᲔᲠᲘᲡ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ, ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ, ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ, ᲛᲝᲜᲢᲒᲝᲛᲠᲘᲡ, ᲠᲝᲖᲔᲜᲙᲝᲠᲢᲘᲡ, ᲛᲝᲡᲙᲕᲘᲡ, ᲛᲐᲠᲯᲐᲮᲘᲡ, ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲛᲐᲠᲢᲕᲘᲚᲘᲡ, ᲛᲐᲠᲢᲚᲘᲡ, ᲛᲔᲡᲢᲘᲐᲡ, ᲛᲘᲠᲖᲐᲐᲜᲘᲡ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ, ᲡᲐᲠᲐᲠᲘᲡ, ᲤᲝᲗᲝᲑᲘᲡ, ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ, ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ, ᲙᲔᲓᲚᲘᲡ, ᲨᲣᲐᲮᲔᲕᲘᲡᲐ და ᲮᲣᲚᲝᲡ** რაიონების მეცხოველეთა კარგი მუშაობა. (საკდესი).

215.000 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!



ᲘᲜᲓᲘᲠᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. (ტელეფონით (საკ. კორ.). ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ი. ქანთარია, პარტკომის მდივანი გ. ᲤᲝᲬᲣᲐ, მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი ა. შუოაია) არა მარტო ზუგდიდის რაიონში, არამედ მთელ რესპუბლიკაშია ცნობილი. აქ ფოთოლს ძირითადად საკრეფი მანქანით იღებენ.

წელს მეურნეობამ უნდა მოკრიფოს 2.500 ტონა ფოთოლი, ეს დავალება უშინ შესრულდა. მოიკრიფა 2.509 ტონა ჩაის ნედლეული, აქედან მანქანით — 1.725 ტონა. მანქანით კიდევ მოიკრიფება 300 ტონაზე მეტი ფოთოლი. მეურნეობაში შარშანდელთან შედარებით მოიკრიფა 478,8 ტონაზე მეტი ფოთოლი.

მეურნეობაში პექტარზე საშუალოდ მიღებულია 5.000 კილოგრამი ფოთოლი. შარშანდელთან შედარებით 1 ცენტნერი ჩაის ნედლეულის მიღება დაუჯდათ 1 მანეთი და 25 კაპიკით ნაკლები. მარტო, ამით მოგება აქვთ 30.000 მანეთი.

დაწინაურდნენ მექანიზატორები ს. აფხაზავა, ვ. მეუნარგია, კ. ქობალია, ს. ლოლუა, ნ. ᲒᲣᲒᲣᲩᲘᲐ, რ. ᲯᲘᲯᲐᲕᲐ, ი. შუოაია, მ. ᲖᲐᲒᲚᲝᲢᲜᲘ, კ. ქირია. თვითეულმა მათგანმა 63-65 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული აიღო.

ინგირელებმა გადაწყვეტეს სეზონის დამთავრებამდე წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 500 ტონა ჩაის ფოთოლი და ამით შეასრულონ 5-წლიანი გეგმა.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ჩაის შექანიზებული კრეფა ზუგდიდის რაიონის ინგირის საბჭოთა მეურნეობაში. წინა პლანზე — მეურნეობის დირექტორი სოციალისტური შრომის გმირი ი. ქანთარია და პარტიული კომიტეტის მდივანი გ. ᲤᲝᲬᲣᲐ.

ფოტო Ჯ. ᲨᲣᲨᲣᲜᲘᲐᲡი.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ იმყოფება ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის არმიის ხელშემწყობი კავშირის (სვაზარმის) დელეგაცია. 27 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ვაიმართა ამ დელეგაციის წევრთა შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანთან პ. Ა. ᲠᲝᲓᲘᲝᲜᲝᲕᲗᲐᲜ.

შეხვედრაზე იყვნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სვაზარმის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕ ᲨᲜᲣᲑᲐᲚᲘ, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სვაზარმის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები — სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სვაზარმის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ᲘᲣᲠᲘ ᲒᲘᲠᲝᲢი, ჩეხიის სოციალისტური რესპუბლიკის სვაზარმის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲓᲘᲠᲝᲠᲨᲐᲙი, ᲙᲔᲓᲚᲘ, ᲨᲣᲐᲮᲔᲕᲘᲡᲐ და ᲮᲣᲚᲝᲡ რაიონების მეცხოველეთა კარგი მუშაობა. (საკდესი).

ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲗ-ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲡ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ, ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲛᲬᲧᲝᲑᲘᲗᲘ ᲜᲔᲑᲐᲧᲝᲤᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ

ᲓᲘᲓᲘ დღესასწაული აქვთ საქართველოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრებს. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის შეჯიბრებაში 1968 წელს სამხედრო-პატრიოტულ და თავდაცვით-მასობრივ მუშაობაში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის მათ მიენიჭათ პირველი ადგილი სსრ კავშირში და საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, ხოლო საბჭოთა შეიარაღებული ძალებისათვის ტექნიკურად განათლებული შეჯსების მომზადებისათვის. — მეორე ადგილი და სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას მიეძღვნა საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საზეიმო კრება. **პრეზიდიუმში** არიან რესპუბლიკის **მინისტრთა საბჭოს** თავმჯდომარის მოადგილე ე. მ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ, საქართველოს კომპარტიის ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ა. გ. კარანაძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის წარმომადგენლები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები.

პრეზიდიუმში შემოდის ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის არმიის ხელშემწყობი კავშირის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის არმიის ხელშემწყობი კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის იაროსლავ შნუბალის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სვაზარმის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები — სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სვაზარმის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ᲘᲣᲠᲘ ᲒᲘᲠᲝᲢი, ჩეხიის სოციალისტური რესპუბლიკის სვაზარმის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲓᲘᲠᲝᲠᲨᲐᲙი, ᲙᲔᲓᲚᲘ, ᲨᲣᲐᲮᲔᲕᲘᲡᲐ და ᲮᲣᲚᲝᲡ რაიონების მეცხოველეთა კარგი მუშაობა. (საკდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲡ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ, ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲛᲬᲧᲝᲑᲘᲗᲘ ᲜᲔᲑᲐᲧᲝᲤᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲣᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲘ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲡ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ, ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲛᲬᲧᲝᲑᲘᲗᲘ ᲜᲔᲑᲐᲧᲝᲤᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲣᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲘ

ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ

ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ კრებაზე მიღებულია მიმართვა საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ყველა მუშაკისა და წევრისადმი. (საქდესი).

ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲗ-ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲓᲘᲓᲘ დღესასწაული აქვთ საქართველოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრებს. ვ. ი

დიადი ლენინური გზით

კავკასიონის მთის ხავერდოვან ფერდობებზე იქ, სადაც საქართველო ემიჯნება მომძე აზერბაიჯანის რესპუბლიკას, შეფენილია ქართული სოფლები, დამშვენებული ახალი ორსართულიანი სახლებითა და კეთილმოწყობილი გზებით, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებითა და საყოფაცხოვრებო ობიექტებით. დღითიდღე იზრდება, ფართოვდება და მშვენდება რაიონული ცენტრიც — ლაგოდეხი.

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ლაგოდეხის პეიზაჟები, მზით გარუჯული მისი გამრჯე ადამიანები, მათი შრომის ხვავი და ბარაქა, საქვეყნოდ ცნობილი მაკრძალი, ლამაზი ჭიუხებითა და ჩანჩქერებით, მთიდან მოხეთქილი ცივი მდინარეებით, არასოდეს არ დავიწყდება ჩვენი ლამაზი სამშობლოს ეს თვალწარმტაცი კუთხე.

ეს მხარე იმითაც არის აღსანიშნავი, რომ აქ ქართველების გვერდით მეგობრულად შრომობენ და ცხოვრობენ რუსები, აზერბაიჯანელები, ოსები, სომხები, ლეკები...

ახლა, როცა საბჭოთა ხალხი, მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა ემზადება დიდი ლენინის საუკუნოვანი იუბილესათვის, ლაგოდეხელები ამ ღირსშესანიშნავ თარიღს უმზადებენ თავიანთი შემოქმედებითი შრომის შესანიშნავ ნაყოფს.

დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ ჩვენი რაიონისა და მომძე აზერბაიჯანის ბელაქნის რაიონის მშრომელებს. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი აღმავლობისათვის. წელს ახალი ძალით გაჩაღდა შეჯიბრება. შეჯიბრებაში გამოგვიწვიეს ავრეთვე მარნეულის რაიონის მშრომელებმა. ჩვენ გამოწვევა მივიღეთ და გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი ვიკისრეთ.

გადაწყვეტილი გვაქვს წელს სამშობლოს მივცეთ: 4.450 ტონა თამბაქო, 2.700 ტონა ბოსტნეული, 2.400 ტონა ყურძენი, 185 ტონა აბრეშუმის პარკი, 550 ტონა ხორცი, 2.400 ტონა რძე, 760.000 ცალი კვერცხი და სხვა პროდუქტები, რაც გეგმით გათვალისწინებულზე მნიშვნელოვნად მეტია.

მთელი ძალით გაჩაღდა ბრძოლა ნაკისრი ვალდებულებათა განაღდებისათვის. ყველა საზოგადოებრივმა მეურნეობამ, ბრიგადამ თუ რგოლმა კარგად იცის თავისი ხვედრი ამ საერთო ვალდებულებაში.

მეთამბაქოობა — რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია. ლაგოდეხელებს მისი მოვლა-მოყვანის დიდი გამოცდილება აქვთ და წლების მანძილზე კარგ ნაყოფსაც იმკიან. მაგრამ უკანასკნელ ორ წელიწადში თამბაქოს პლანტაციებში მასობრივად იჩინა თავი ახალმა ვირუსოვანმა დაავადებამ, რამაც დიდი ხიბნელეები შეგვიქმნა. ამის გამო ვერ შევასრულეთ თამბაქოს დამზადების გასული წლის გეგმა. მართალია, საქართველოს მეცნიერთა დაცვის ინსტიტუტი გარკვეულ მუშაობას ეწევა ვირუსოვან დაავადებათა წინააღმდეგ, მაგრამ მის მიერ მოცემული რეკომენდაციები ჯერჯერობით სასურველ შედეგს ვერ აღწევს. მიმდინარე წლის ნაუბრალევი გაზაფხულის მიუხედავად, რამაც ჩითილის რგვა გაჭიანურა, სათანადო მოვლა-პატრონობის შედეგად პლანტაციები კარგად გამოიყურება და იმის პირობას იძლევა, რომ ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით შესრულდება.

როგორც ცნობილია, გულმოდგინე, ბეჯით შრომას ყოველთვის კარგი შედეგი მოსდევს.

ამიტომაც არის, რომ პირველობას არავის არ უთმობს სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი", რომელმაც შარშან დიდი გადამეტებით შეასრულა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების წლიური გეგმები. აქ, წინა წელთან შედარებით, 50 ათასი მანეთით გაზარდეს არტელის საერთო შემოსავალი და თვითეული კაცდღის ანაზღაურება 6 მანეთამდე აიყვანეს. ეს წარმატება შემთხვევითი არ არის. კომუნისტების, ყველა მშრომელის ძალებსა და ენერგიას უნარიანად წარმართავენ კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ი. ყავლაშვილი) და პარტბიურო (მდივანი ა. კაკაშვილი).

კოლმეურნეობაში დიდი ყურადღება ექცევა სოციალისტური შეჯიბრების საკითხობას, მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების უახლეს მიღწევათა პროპაგანდასა და დანერგვას. უკანასკნელ პერიოდში აქ მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა იდეოლოგიური მუშაობა. ადამიანთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას, საწარმოო და პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას ემსახურება მთელი იდეური არსენალი — ლექციები, მოხსენებები, საუბრები, თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები, თეორიული კონფერენციები, ძირეული პრესა, რადიო და ტელევიზია. აქვე კარგად არის მოწყობილი ვალდებულებათა შესრულების თვალსაჩინოება. ფოტოტენდიდან გვიცქერენ მოწინავე ადამიანები, რომელთაგან ოცდაერთს მეერდს უმშვენებს ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავი".

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებაში კარგ მაჩვენებლებს აღწევენ აგრეთვე სოფლების ლელიანის, კაბლის, ცოდნისკარის და ლაგოდეხის კალინინის სახელობის კოლმეურნეობები.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე აკანგაჩერმა კომუნისტები არიან. ჩვენთან კარგად იცნობენ ლ. გიორგაძის, ს. არაბიძის, ნ. ხერდიუკის (სოფელ ცოდნისკარის კოლმეურნეობა), გ. მაკარაშვილის, შ. ბეკოშვილის, ა. ბრაკელოვის (სოფელ შრომის კოლმეურნეობა), ე. მჭედლიძის, ც. კაპანაძის (სოფელ აფენის კოლმეურნეობა), მ. შაქაროვის, გ. ბიდაურის (ლაგოდეხის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა) და სხვების სახელებს, რომლებიც კომუნისტური შრომისა და ცხოვრების საუკეთესო მაგალითებს იძლევიან.

მუშაობის შედეგები გაცილებით მეტი გვექნებოდა, ყველგან რომ მაღალ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. ზოგიერთ მეურნეობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების დაგვიანებას, გაჭიანურებას, უყაირათობასა და უპასუხისმგებლობას. პარტიის რაიკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები საჭირო ღონისძიებებს აზორციელებენ შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის გასაუმჯობესებლად, კომუნისტებისა და ყველა მშრომელის აქტივობის გასაძლიერებლად, მომთხოვნელობის ასამაღლებლად.

პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის ძირითადი საზრუნავია ღრმად ჩასწვდნენ მეურნეობათა ეკონომიკას, გაუკეთონ მას სწორი, მეცნიერული ანალიზი, გადაჭრით გაუმჯობესონ წარმოებისადმი ხელმძღვანელობა. საჭიროა გადაჭრით ამაღლდეს წარმოებაში სპეციალისტთა როლი და საადრიცხვო დარგის მუშაკთა პასუხისმგებლობა. ამ მიზნით პარტიის რაიკომი სულ უფრო მჭიდრო კავშირს ამყარებს კოლმეურნეობათა და საწარმოთა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან, ხშირად იმყოფნენ ანგარიშებს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, ანალიზს უკეთებს ჩამორჩენის მიზეზებს. თავის მხრივ რაიკომი ანგარიშს ამბარებს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. ყოველივე ეს ხელს უწყობს ჯანსაღი კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას.

ახლა ჩვენს წინაშე დგას ამოცანა არა მარტო ვაჯარგოოოთ, არამედ იაფად ვაჯარგოოთ, შევამციროოთ პროდუქციის შექმნაზე გაწეული დანახარჯები, მისი თვითღირებულება, ავამაღლოთ რენტაბელობა.

იუბილეს ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები. ამას ცხადყოფს ყველა საწარმოს მისასვლელებსა და კარიჭიდამზე მოწყობილი თვალსაჩინოება; წარმოების ზრდის დიაგრამები, ფოტოტენდები, საპატიო დაფები.

შარშან სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა 112, ხოლო მისი რეალიზაციის დავალება 108 პროცენტით შეასრულეს. განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს ამ მხრივ თამბაქოს ფაბრიკამ, საკონსერვო და ყველკარაქის ქარხნებმა. სამრეწველო საწარმოები წელსაც რიტმულად მუშაობენ. ხუთწლედის მეოთხე წლის პირველი ნახევრის დავალება 109 პროცენტით შეასრულეს. შეჯიბრებაში ყველაზე საუკეთესო მაჩვენებლები კვლავ თამბაქოს საფერმენტაცო ქარხანას აქვს.

შეჯიბრების სათავეში

გაიზარდა ჩვენი სამშენებლო ორგანიზაციების ამოცანებიც. დღითიდღე მატულობს მშენებარე ობიექტთა რაოდენობა და კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა. მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ამ საქმეში ჯერ კიდევ სრული წესრიგი არა გვაქვს. შარშან არ შესრულებულა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები. არც წელს არის ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა. ვის მიუძღვის ამაში ბრალი? ცხადია, ჩამორჩენას მარტო სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ვერ მივაწერთ, თუმცა იგი ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ამარაგებს ჩვენს სამშენებლო ორგანიზაციებს საჭირო მასალებით, ტექნიკით, კვალიფიციური სპეციალისტებით. ცხადია, ამაში გარკვეული ბრალი რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებსაც მიუძღვის. ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ვეხმარებით სამშენებლო ორგანიზაციებს მუშახელით, ტრანსპორტით, ნაულებ კონტროლსა და დახმარებას ვუწევთ მათ. თავის მხრივ სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სათანადოდ ვერ იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს, ადგილობრივ საშენ მასალებს, სამშენებლო ტექნიკას.

ხელმძღვანელი კადრების და, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტთა იდეური ზრთობა იყო და არის პარტიული მუშაობის ერთ-ერთი მთავარი უბანი. პარტია გვასწავლის: ახალგაზრდა პარტიული კადრები ვაზიაროთ იმ მდიდარ გამოცდილებას, რომელიც შეძენილია ათეული წლების მანძილზე. და ეს უნდა ხდებოდეს არა შემთხვევიდან შემთხვევამდე, არამედ გეგმაზომიერად. ამ მიზნით რაიკომში შექმნილია და ნაყოფიერად მუშაობს პარტიული ორგანიზაციების მდივნების, მათი მოადგილეებისა და პარტჯუფფრგების ერთწლიანი სკოლა, რომლის მეცადინეობა ყოველთვიურად ეწყობა. სკოლაში მსმენელთა წინაშე გამოდიან ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, პრაქტიკაში დავნერგოთ ახალგაზრდა პარტიულ მუშაკთა და პარტიული ორგანიზაციების ახალ არჩეული მდივნების შემოქმედებითი მივლინება მოწინავე პარტიულ ორგანიზაციებში, როგორც ამას უკვე აკეთებენ ზოგიერთი რაიკომები.

რაიკომის ბიუროს მიერ შემუშავებულია და თანმიმდევრულად ხორციელდება „ლენინური კითხვის" გეგმა. უპარტიოთა იდეური ცოდნის დონის ამაღლების მიზნით შექმნილია ლენინური სახალხო სკოლები და უნივერსიტეტები. აქ პირველ რიგში სწავლობენ ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიას და რევოლუციურ მოღვაწეობას.

ვ. ი. ლენინის იდეური მემკვიდრეობის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პარტიული განათლების სისტემაში. სულ უფრო სრულყოფილი და შინაარსიანი ხდება პროპაგანდისტებისა და პოლიტინფორმატორების მუშაობა.

პარტიის რაიკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები სწავლობენ მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე პარტიული ორგანიზაციების მდიდარ გამოცდილებას პარტიული კომიტეტის პლენუმების, ბიუროს სხდომებისა და პარტიული კრებების მაღალ იდეურ დონეზე მომზადების, მათი ჩატარების საქმეში. ყოველი დონისძიებით ვაუმჯობესებთ რაიკომის პლენუმებისა და ბიუროს დადგენილებათა შესრულებისადმი კონტროლს. რაიკომის აპარატის მუშაკები და ბიუროს წევრები ადგილებზე ეხმარებიან პირველად ორგანიზაციებს მათს განხორციელებაში.

მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება იქნება პარტიის რაიონული კომიტეტის მუშაობის ქვაკუთხედი. ამას წინათ პარტიის რაიკომის პლენუმზე განვიხილეთ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად პირველადი პარტიული ორგანიზაციების მზადების მიმდინარეობის საკითხი და დავსახეთ სათანადო ღონისძიებანი.

მთელ ძალებს, ცოდნასა და გამოცდილებას მოვახმართ საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტას.

ვ. უნგიაძე,
საქართველოს კპ ლაგოდეხის რაიკომის პირველი მდივანი.

ასე ეხმარებიან მდივნებს

წყალტუბო. (საგ. კორ.). საქმიანი სჯა-ბაასი და ახრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია თამბრისემინარმა, რომელიც პარტიის წყალტუბოს რაიკომმა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების დასახმარებლად მოაწყო.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისა და წინასაიუბილეო მზადების საქმეში პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ სემინარის მონაწილეებს ესაუბრა პარტიის წყალტუბოს რაიკომის პირველი მდივანი გ. ჯაშაძე. მანვე შეარჩიოლთა ყურადღება გამამხელილა პარტიული ინფორმაციის შემდგომ გაუმჯობესებაზე.

პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის საკითხებზე სემინარის მონაწილეებს ესაუბრნენ აგრეთვე პარტიის ოლიტკომის მდივანი შ. კაკაურიძე, განყოფილებათა გამგეები გ. სოფრომაძე და გ. შალამბერიძე, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ა. მაღლაფერიძე.

კადრები საბჭოთა ფილმებიდან

„ჩაპაევი".

„ალექსანდრე ნეველი".

„არსენა".

„ჯარისკაცის მამა".

სახელოვანი იუბილე

საბჭოთა კინემატოგრაფია თავისი არსებობის 50 წლისთავის სახელოვან თარიღს აღნიშნავს. ეს არის საყოველთაო სახალხო ზეიმი.

1919 წლის 27 აგვისტოს ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილი დეკრეტი ფოტოგრაფიული და კინემატოგრაფიული ფაბრობისა და მრეწველობის ნაციონალიზაციისა და განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში მათი გადაცემის შესახებ ახალი ეპოქის დასაწყისია მსოფლიო კინემატოგრაფიის ისტორიაში. იგი სათავეა ყოველი ახალი სიტყვისა, რომელიც კაცობრიობის დიდი მომავლის სასარგებლოდ კინემატოგრაფიის დარგში ამ დეკრეტის გამოსვლის შემდეგ ითქვა: აქედან ნოლის ის დუმრეტელი სტიმული წინსვლისა, რომელსაც კინოხელოვნება ახალ-ახალ მიღწევათა მწვეერალებისაკენ მიმყავს. აქედან იღებს თავის სასიცოცხლო ძალას მსოფლიო კინემატოგრაფიის ყველა პროგრესული მუშაკის შემოქმედება, მათი პოლიტიკური და მხატვრული აზროვნება კინემატოგრაფიის სფეროში.

ორმოცდაათმა წელმა განვლო მას შემდეგ, ლენინური დეკრეტის მზის ქვეშ გაშლილი საბჭოთა კინემატოგრაფია ყოველდღიურად იფურჩქნება, ვითარდება და ერთ მოწინავე ადგილს იჭერს მსოფლიო კინოხელოვნების სახელოვან ანსამბლში. ვერც რეაქციული ძალების წინააღმდეგობამ, ვერც საბჭოთა რესპუბლიკის კინოხელოვნების მიმართ კერძო კინომწარმოებელთა შურმა და მტრობამ ვერ შეაფერხა საბჭოთა ფილმების წარმატება მსოფლიოს ეკრანებზე. მიუხედავად მრავალი ცდისა, ვერავინ დაჩრდილა ის ბრწყინვალე შუქი აზროვნებისა, ის მოძაჯადოებელი ხასიათი ფორმისა, რომლითაც აღბეჭდილი იყვნენ ჩვენი ფილმები, რომლითაც ხიბლავდნენ ესანი ბურჟუაზიული ქვეყნების ექსპლოატირებულ კლასს, მის პროგრესულ ადამიანებს.

სოციალურ პირობებთან შეფარდებული თემატიკა, მასალის ღრმა პოლიტიკური გაგება, როგორც წარსულის, ისე ახალი ყოფის ადამიანთა ბემმარიტი სახეები, რეგოლუციური სული და უმაღლესი შემოქმედებითი პათოსი, ახალი კინემატოგრაფიული ენა და მხატვრული გამომსახველობის ორიგინალური საშუალებები: მონტაჟის ახალი ხერხები, კადრის ახლებურად აქტყველებული კომპოზიცია, სინთალის ეფექტის აზრობრივი გამოყენება— ეს საბჭოთა კინოხელოვნების თვისებები, რითაც მან მილიონობით მაყურებლის გული მოხიბლა, რითაც იგი მსოფლიო კინემატოგრაფიის წინ დადგა, სხვადასხვა ქვეყნის კინოხელოვანთა დიდი სიყვარული დაიმსახურა და მათზე ზეგავლენა მოახდინა. ასეთი როლი შეასრულეს ეიზენშტეინის „ჯავშნოსანმა „პოტიომკინმა", პუდოვკინის „დედამ", ა. დოვჟენკოს „არსენალმა", ძმები ვასილიევების „ჩაპაევმა", ძ. ვერტოვის „სამმა სიმღერამ ლენინზე", მ. რომის „ლენინმა ოქტომბერში", „ლენინმა 18 წელს", ივ. პირიევის „ტრაქტორისტებმა", გ. ალექსანდროვის „ცირკმა" და სხვ.

სამამულო ომის მძიმე ბრძოლებში კიდევ უფრო ნათელი გახდა საბჭოთა კინემატოგრაფიის პროგრესული როლი მსოფლიო მშრომელი მასების საბრძოლო დარაზმვის საქმეში ფაშიზმის მიხაკისფერი ტირანაგან კაცობრიობის გადასარჩენად, კიდევ უფრო აშკარა შეიქმნა საბჭოთა კინემატოგრაფიის იდეურ-მხატვრული უპირატესობა ბურჟუაზიულ კინემატოგრაფიასთან შედარებით.

„ოპერეტიმის ოჯახი" (რეჟისორი გ. რომაღოვი), „ის იცავს სამშობლოს" (ფ. ერმლერი), „ჩვენი ქალაქის ახალგაზრდა" (ა. სტოლპერი და ი. ივანოვი), „რიაზანის მდივანი" (ი. პირიევი), „ივან ნიკულინი — რუსი მეზღვაური" (ი. სავჩენკო) — ეს არასრული სია იმ კინოფილმებისა, რომლებიც სიმარლოის მთელი სიძლიერითა და მხატვრული დამაჯერებლობით მოუთხრობდნენ თავდადებულ ბრძოლასა და შრომაზე როგორც ფრონტზე, ისე ზურგში, უჩვენებდნენ გერმანელი ფაშისტების მიერ დროებით ოკუპირებულ ადგილებში სისხლიანი თარეშის შემაძრწუნებელ სურათებს, რომელთა რეალურ ასახვაში ასე უძლური აღმოჩნდა ბურჟუაზიული კინემატოგრაფია.

საბჭოთა კინოხელოვნება ომისშემდგომ წლებში მეტი სისწრაფით წადიდა წინ ახალი შემოქმედებითი სიმაღლეების დასაპყრობად.

დღეს საბჭოთა ქვეყნის კინოხელოვნება სხვა მეზობელი ქვეყნების ეროვნული კინოხელოვნების განვითარების სტიმულს წარმოადგენს. საბჭოთა ხალხი, მისი კინოხელოვნების გამოჩენილი ოსტატების შემოქმედება ხელს უწყობს, ეხმარება ყველა დემოკრატიული ქვეყნის კინოხელოვნების აყვავებას-განვითარებას.

საბჭოთა კინემატოგრაფიის ეს დიდი თვისება ნათლად დაადასტურეს სხვადასხვა წლებში ჩატარებულმა საერთაშორისო კინოფესტივალებმა კარლოვიგარში, ვენეციაში, ბრიუსელში, კანსა და მსოფლიოს სხვა ქალაქებში, სადაც მთელ რიგ სახელმწიფოებთან ერთად მონაწილეობდა საბჭოთა კავშირიც. აქ საბჭოთა ფილმებმა კვლავ დიდი წარმატება მოიპოვეს. საბჭოთა მხატვრული, დოკუმენტური, მულტიპლიკაციური და სამეცნიერო-პოპულარული კინოსურათები ფესტივალის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იდგნენ და საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემათა სიუჟეტისა და მათი ახალი, ორიგინალური მხატვრული კინემატოგრაფიული გადაწყვეტის მხრივ ჭეშმარიტად დიდი, ამაღლებული კინოხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენენ.

განსაკუთრებული გამოხმაურება ჰპოვეს 1959 და 1969 წლებში მოსკოვში ჩატარებულმა საერთაშორისო კინოფესტივალებმა, რომელთა დევიზი იყო „კინოხელოვნების ჰუმანურობისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის". მოსკოვის ფესტივალმა მთელი კინემატოგრაფიული სამყარო მიიზიდა და მძლავრ საერთაშორისო მოვლენად იქცა, აქ თავიანთი ფილმებით წარსდგნენ არა მარტო ის ქვეყნები, რომელთაც კინოწარმოების დიდი ხნის ისტორია აქვთ, არამედ ისეთებიც, რომელთა ეროვნული კინემატოგრაფიის განვითარება ახლა იწყება. არა მარტო დიდი, ძლიერი სახელმწიფოები, არამედ მცირე, ნახევრადოფლონური ქვეყნები და კოლონიური უღლისაგან ახლახან განთავისუფლებული პატარა ერებიც. ასეთი პირობები არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში გამართულ კინოფესტივალზე არ ყოფილა. ფესტივალზე წარმოდგენილ სახელმწიფოთა რიცხვისა და განსახილველად ჩამოტანილი ფილმების რაოდენობის მხრივაც მსგავსი ფესტივალები არსად არ გამართულა.

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის შექმნასა და განვითარებას, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კინემატოგრაფიისას, საფუძვლად დაედო 1921 წლის 27 აგვისტოს ხელმოწერილი ლენინის მიერ 1919 წლის 27 აგვისტოს ხელმოწერილი დეკრეტი.

1921 წლის 11 ივლისის № 51 სახელმწიფო დეკრეტის საფუძველზე საქართველოს სსრ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის განკარგულებაში გადავიდა საქართველოს ტერიტორიაზე აგებული ყველა კინოთეატრი, გამქირავებელი დაწესებულებები, პირობის ყოფილი ატელიე მთელი მისი ტექნიკური მოწყობილობით და უშუალოდ დაექვემდებარა განათლების სახალხო კომისარიატთან შექმნილი კინოსექციას.

განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულმა კინოსექციამ 1921 წლის დასასრულს ეკრანზე გამოუშვა პირველი ქართული საბჭოთა ფილმი ი. პერსტანის „არსენა ჯორჯიაშვილი" — 1905 წლის რევოლუციის ცნობილი გმირის არსენა ჯორჯიაშვილის ცხოვრებაზე. ეს ფილმი ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის ჩასახვისა და განვითარების დასაწყისს წარმოადგენს.

ქართულმა საბჭოთა კინემატოგრაფიამ დღემდე, 48 წლის მანძილზე, მეტად მრავალფეროვანი და საინტერესო გზა განვლო.

არსებითად ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის მუშაკები მხარდამხარ მიჰყვებოდნენ და მიჰყვებიან მთელ საბჭოთა კინემატოგრაფიას. მძლავრ შემოქმედებითს ფერხულში ჩაბმულნი, მთელი თავიანთი შემოქმედითი ემსახურებიან პარტიისა და მთავრობის მიერ კინოხელოვნების წინაშე დასახულ ამოცანათა განხორციელების დიად საქმეს.

სამოქალაქო თავდაცვა საერთო-სახალხო საქმეა

ნიოსიმის და ნაგასაკის გახსენება დღესაც თავზარს სცემს ადამიანებს. მაგრამ იაპონიის ამ ქალაქებში ჩამოგდებული ატომური ბომბები, რომლებმაც მოსპო 300 ათასი და სამოდამდე დაასახიჩრა 200 ათასი ადამიანი, ყველაზე მცირე კალიბრისა იყო (თვითეული 20 ათასი ტონა ტროტილის ეკვივალენტისა).

თანამედროვე თერმოატომგულური ბომბები კი, რომელთა სიმძლავრე 10, 20, 50 და მეტ მეგატონას აღწევს (1 მეგატონა უდრის 1 მილიონ ტონა ტროტილის ეკვივალენტს), ხასიათდებიან კოლოსალური დამანგრეველი ძალით და შეუძლიათ დაახიზანონ ადამიანები დიდ მანძილზე. მსგავლ სამრეწველო ცენტრებზე და მჭიდროდ დასახლებულ ობიექტებზე ატომური, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის ერთობლივმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს უდიდესი ნგრევა და ათეულ მილიონობით ადამიანთა დაღუპვა.

ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები არ ფარავენ, რომ მომავალ ომში, თუ მის გაჩაღებას ისინი შეძლებენ, ატომური იარაღი გამოყენებული იქნება არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ მეორე ქვეყნების ზურგშიც. ცხადია, როცა ასეთი საშიშროება არსებობს, საჭიროა მთელი სახელმწიფოს, მოსახლეობის და ჩვენი ქვეყნის ყველა სასიცოცხლო ცენტრის სამიდეოდ დაცვა.

